



მცხეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

გ ა ნ კ ა რ გ უ ლ ე ბ ა №186

2016 წლის 31 აგვისტო

ქ. მცხეთა

მცხეთის მუნიციპალიტეტის საკუთრებად რეგისტრირებული, სოფელ წეროვანში მდებარე უძრავი ქონების (არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების 1006.00 მ² მიწის ნაკვეთი და მასზე მდებარე შენობა-ნაგებობა №1 ს/კ №72.08.21.846), სახელმწიფოსათვის უსასყიდლოდ საკუთრებაში გადაცემის შესახებ.

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ 108-ე მუხლის პირველი ნაწილის, 61-ე მუხლის მე-2 ნაწილისა და მცხეთის მუნიციპალიტეტის გამგეობის 2015 წლის 24 აგვისტოს №7134 მომართვის საფუძველზე,

1. მცხეთის მუნიციპალიტეტის საკუთრებად რეგისტრირებული, სოფელ წეროვანში მდებარე უძრავი ქონება (არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების 1006.00 მ² მიწის ნაკვეთი და მასზე მდებარე შენობა-ნაგებობა №1 ს/კ №72.08.21.846), გადაეცეს სახელმწიფოს უსასყიდლოდ საკუთრებაში, შემდგომში საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროსათვის სარგებლობის უფლებით გადაცემის მიზნით.
2. განკარგულება ძალაშია გაცნობისთანავე.
3. განკარგულება შეიძლება გასაჩივრებულ იქნას მცხეთის რაიონულ სასამართლოში გაცნობიდან ერთი თვის ვადაში. მცხეთა, სამხედროს ქ №17.

საკრებულოს თავმჯდომარე



ჯემალ სოლოლაშვილი